ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოველ-კვირეული ჟურნალი

№ 13

ფასი 10 კაპ.

1/12 გვერდისა 1 მან.

1/4—2 მ. 75 კ.

1/6—2 მან.

1/2—5 მან.

მთელი გვერდი ერთი თუმანი

მეორე გვერდზედ ყველა ფასები ნახევრდება

№ 13

9 ქრისტიშობისთვე 1912

მიიღება ხელის მოწერა ფასი 1 წლ ,—5 მან ამა 1912 წლ. დამლევამდე—1 მან. 50 კაპ., სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მან.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონო-მიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღია ყოველ დღე 11 – 1 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „ალდე“. დეპეშა: თბილისი ალდე

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ კვირეულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიტერატურო ჟურნალ

„ალდე“-ზედ.

1913 წლის იანვრიდან ჟურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთობა ილუსტრაციები, კარიკატურები და სხ. მოწვეულ არიან ახალი თანამშრომელნი, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთსა და საზღვარ გარედან.

ფ ა ს ი:

1 წლ.	6 თვ	3 თვ.	1 თვ.	ცალკე №
5 მან.	2 მ.75	1 მ.50	50 კ	10
4 მან.	2.50 კ	1 მ.	40 კ	10

სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს, სტუდენტებს და კოოპერატიულ დაწესებულებათ დაეთმობათ

საზღვარ გარედ ყველა ფასებს ემატებათ თვეში 3 მაური გადასაგზავნი.

განცხადების ფასი: ყდაზედ, როგორც აღნაშნულია; ტექსტის სხვა და სხვა ადგილას—კანტორასთან შეთანხმებით.

ს ა რ ჩ ე ვ ი: მიწის მობილიზაცია ქართლში. — **ვინმე სოფლელისა.** თანამედროვე ანეკდოტები. — **ლამურასი.** „გაგრძელებანი“ გ. რ. გზისა. — **ფარსმან ფარუხისა.** ცხოვრების გაძვირება საქართველოში. — **თევ. ლლონტისა.** ახალი ამბავი. პრესა. ეკონომიურ-კოოპერატიული ქრონიკა. მატიანე. — **დევგოთელისა.**

საკუთრების მობილიზაცია ქართლში

მიწის მფლობელობა და მისი წარმოება, აი ის ორი მოვლენა, რომელზედაც დამყარებულია მიწის მფლობელისა და მიწის მწარმოებლის ურთიერთობა; ამავე ურთიერთობაზე აშენდა ჩვენი საზოგადოების ის ორი მიმართულებაც, რომლისაგან ერთი დღესაც გამოდის თავად-აზნაურობის იდეოლოგად, ხოლო მეორემ კი შესაძლოდ სცნო ჩვენში სოციალიზაციის ქადაგება.

პირველი მიმართულება თავის დროზე ამბობდა, რომ აზნაურობის ხელში ჩვენი ტერიტორიის დიდი ნაწილია, მაშასადამე, იგი წარმოადგენს ჩვენის ერის ერთ დიდს ეკონომიურსა და შემოქმედ ძალთაგანს და ამის და კვალად მას უნდა მიექცეს შესაფერი ყურადღება და შესაფერი ადგილიც დაეთმოს ჩვენს ცხოვრებაში.

მეორე მიმართულება, იმავე მოვლენიდან გამომდინარე, ფიქრობდა: მთელი რაიონები სააზნაურო საკუთრებას შეადგენენ და შესაძლოა მათ წართმევასთან ერთად, მოეწყოს საერთო მფლობელობა, რადგან მწარმოებელი გლეხი ჯერ საკუთრების ფსიხოლოგიით არ არი გაჟღენთილი.

მესამე მიმართულება ჩვენი საზოგადოებისა თავის მოქმედებას არ ამყარებდა სოფლის თანამედროვე მდგომარეობაზედ, არამედ გადასწყვიტა მოცდა, როდესაც კაპიტალი თავისით შექმნიდა სოფლად ისეთ ურთიერთობას, როდესაც fait accompli-ს აღიარების მეტი, აღარა იქნებოდა რა საჭირო. მანამ კი თვისი ყურადღება ქალაქებს მიანიჭა.

ჩვენც, ჩვენი ყურადღება პირველ ორ მიმართულებას მივაქციოთ, რადგან ორთავე უმთავრესად სოფლის ელემენტებს ემყარებოდა.

ვინც წარსულ საუკუნის ბოლო დროინდელ სოფლის სურათს იცნობს, დაგვეთანხმება რომ ორთავ მიმართულებას ჰქონდა raison d'être, სანამ ერთის მხრით იყვნენ მიწის მფლობელნი, მეორეს მხრით კი, უმამულო მიწის მუშაკნი; მით უმეტეს, რომ ეს ურთიერთობა არ იყო გართულებული თუნდ იმ მოვლენით, რომ მიწის მფლობელი იმავე დროს მწარმოებელიც ყოფილიყო. ამ მხრივ მდგომარეობა მეტად გამარტივებული იყო: სოფელი ცხადათ იყო გაყოფილი ორად: **ლალის ამკრეფთა** და **ლალის მძლეველთა ბანაკად.** საკვირველი არ არი, რომ ამ ორ ბანაკს თავთავისი იდეოლოგია გაუჩნდა.

მაგრამ ჟამთა სრბოლამ მდგომარეობა შესცვალა; ორი მოპირდაპირე და ერთმანეთისაგან გათიშული ბანაკი ერთმანეთში ათქვიფა: უმამულო გლეხს პატარა საკუთრება გაუჩინა და დიდი სამფლობელოს მექონე ზოგი იმავ პატარა მესაკუთრე გლეხს გაუთანასწორა, ზოგიც ხელცარიელი ქალაქისაკენ გასტყორცნა. დიაღ, აღარ გახლავან ის დიდი სამფლობელოები, რომელნიც თავის პატრონს ანიჭებდნენ ერთგვარს ეკონომიურსა და მისაგან გამომდინარე საზოგადოებრივ ძალასა და მნიშვნელობას. მყვირალა მებაირახტრეებმა თავისივე ჭექა-ქუხილში ვერ გაიგეს, თუ ეს ლატიფუნდიები როგორ დანაწილდნენ და სხვის ხელში გადავიდნენ. მეორეს მხრივ, აღარც ის რაიონები გახლავან რომლის მცხოვრებ გლეხებს ჯერ არ ეგემათ საკუთრების ტკბილი და შხამიანი გემო.

მართალია, საკუთრების მობილიზაციის მაჩვენებელი სტატისტიკა არა გვაქვს, თითქმის არც არის იგი შესაძლებელი, რადგან ვინ ადევნებს თვალს, როგორ იყიდება მიწა დღე მუდამ სხვა და სხვა გზით და წესით: სამედიატორო, ნოტარიუსისა, კერძო და საბანკო ტორგებისა და „მექევანის“ დროს.

მაგრამ ყველა ამის გაგება არც ისე ძნელია. ჩვენი ქვეყანა არც ისე დიდია, რომ მისი შემოვლა და მისი ვითარების გაგება შეუძლებელი იყოს.

განა იმ დროს როცა მოწაფეთა ექსკურსიები მთელ კავკასიას ფეხით უვლიან, ჩვენ მოქმედ ჯგუფებს კი არ შეუძლიანთ თავის კაცებიც გაგზავნონ თუნდ იმ ქართლის გასაცნობად, რომლის მიწის მფლობელობა ისე საინტერესოა ხსენებულ ორ ჯგუფისთვის.

ქართლი ხომ ბურჯია ამერეთის თავად-აზნაუ-

რობისა იგი იძლევა მეტ წილსა ცენზიან აზნაურთა ლა სათავად-აზნაურო დაწესებულებებშიაც ხომ იგია ყველაზედ მეტად წარმოდგენილი.

მაშ რათა კმაყოფილდებიან თ.-აზნაურთა-მებაირახტარნი კაბინეთებში ხმაურობით, რატომ არ დაათვალიერებენ თავის ჯარის მგდომარეობას.

მეორეს მხრივ, ხომ ქართლის უმამულო გლეხის ფსიხოლოგიაზე ემყარებოდნენ უმთავრესად სოციალიზაციის მქადაგებელნი და არა იმერეთისა და კახეთის წვრილ მესაკუთრეთა ელემენტებზე. მაშ რატომ არ უნდა ამ ჯგუფსაც გაგზავნოს თავის კაცები, რათა გაიგონ, ხომ არ მოწამლულა საკუთრების შხამით მისი იმედი ქართველი გლეხი.

არა, არც ერთსა და არც მეორე ჯგუფს არცა სურს და არც შეუძლიან სინამდვილეს გაგება.

არ შეუძლიან იმიტომ რომ ქართველს უფრო ეხერხება ერთი და იგივეს ღეჭვა, ვიდრე მუდმივი შესწავლა და მოძრაობა. არა სურს, იმიტომ რომ შეიძლება ერთიცა და მეორე ჯგუფიც გრძნობდეს, რომ სინამდვილის გამოქვეყნება მოასწავებს არა მათს აშენება-გამაგრებას, არამედ დაშლას, გაქრობას, მათ ნანგრევებზე ახლის ჯგუფის აღმოცენებას.

ყველას მოეხსენება, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართლი წარმოადგენდა ტიპიურ სურათს ფეოდალურ მიწის მფლობელობისას.

მთელი ქართლი დაყოფილი იყო სათავადოებად და ამ ერთგვვარობას აქა იქ თუ აღღვევდა ყოფილი სამეფო და საეკლესიო და აწ სახაზინო მამულები.

ამ სათავადოების ფარგლებში, მართალია, ჰქონდათ ცოტაოდენი წილი სათავადო აზნაურებსა და ზოგიერთ გლეხებს, რამოდენიმე ნასყიდობაც, მაგრამ უცხო სამოქალაქო კანონმდებლობამ ბევრი მათგანი საეჭვოდ გახადა.

ამ გვარი სიტუაცია, რომელიც გაგრძელდა XIX საუკ. თითქმის დამლევამდე, აძლევდა საბუთს თავად-აზნაურთა იდეოლოგებს ეთქვათ: საქართველოს ტერიტორიის ორი წილი ჩვენ ხელთაა, მაშასადამე საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს თავად-აზნაურობას ჩვენ საზოგადოებრივ შემოქმედების სვლაში. საჭიროა მხოლოდ ამ ძალის იდეური ხელმძღვანელობა.

მართალნი იყვნენ „ტეტიათა მოტრფიალენიც“ და მათი მემკვიდრე სოციალიზაციის მქადაგებელნიც, როცა ხედავდნენ რა, აუარებელ უმამულო გლეხობას და ამავე დროს ეჭვობდნენ თავად-აზნაურობის ცხოველ-მყოფელობაში, ამყარებდნენ თავის იმედს გლეხობაზე და მათის ამ ქვეყნითვე ცხონებისათის ერთგულად ეზიდებოდნენ რუსეთის „ობშჩინის“, „პარნიკებში“ გაზრდილ სოციალიზაციის, ნეტგს.

დიახ, იყო ხანა, როცა ორთავე ჯგუფი შესაფერ, არსებულ ძალას ემყარებოდა.

სწორედ გაიგეს ამ ჯგუფებმა მათის ობიექტის სულის სწრაფვა თუ არა, ეგ სხვა კითხვაა, მხოლოდ სამოქმედო ფუძე ორთავ ჯგუფს ჰქონდა.

მაგრამ, ახლა რომ აღარც მამულიანი თავადაზნაურობა და აღარც მასიური უმამულო გლეხობა აღარ არსებობს, იდეოლოგიას რომ ობიექტი გაუქრა?!

მამულიანი თავად-აზნაურობა (ვგულისხმობ მსხვილს) და საკუთრების შხამით მოუწამლელი გლეხობა რომ „წარსულ დროთა მოგონებას“ ჩაბარდა?! რას აპირებენ უჯაროდ დარჩენილი მებაირახტარნი?

და რომ ეს ასეა, რომ ეს უსტატისტიკოდაც ყველა ქართლში მცხოვრებისთვის ცხადია, თვალი გადავავლოთ ცალცალკე ყველა სათავადოებს.

მოვყვეთ ზევიდამ, მტკვრის მარჯვენა ნაპირს. 1) ბორჯომის ხეობა გათავდება და იწყობა სოფელ დამჩხვრევალოდამ, ხაშურის გასწვრივ, და მიდის სადგურ გრაკლამდე „საციციანო“. ამ ძთლიან სათავადოს აღღვევს მხოლოდ სკრის ხეობა, რომელიც ეკუთვნოდა თავად შალიკაშვილებს, და ატენის ხეობის შუა და ქვემო ნაწილი, რომელიც ეკუთვნოდა თავად გიორგი ერისთავის მემკვიდრეთ.

როგორც საზოგადოთ ქართლი, ისე მისი ნაწილები—სათავადოები, იყოფიან მთად და ბარად. საციციანოს მთა გაუყოფელია.

ამ 28 წლის წინად დაიდო მტკიცე ნოტარიული ხელ-შეკრულობა, რომლის ძალით „საციციანოს მთის“ გამგებლობა გადადიოდა მონაწილეთა საზოგადო ყრილობის მიერ არჩეულ გამგეობის ხელში. და არც ერთ მონაწილეს ,ერძოდ არ შეეძლო რაიმე განკარგულების მოხდენა ამ საერთო მამულში, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამრღვევი ამ წესისა ჯარიმას უხდის თვითეულ მონაწილეს, ორას თუმანს. მონაწილეთა რაოდენობა კი ორასს უწევს. მთელი შემოსავალი (მოძრაობამდე 60,000 მანეთზე მეტი და ამ ჟამად 45,000 მანათამდე) შემოდის კანტორაში და ხარჯ გარედ, თვე და თვე, წილის და გვარად, მოწილეებს ურიგ-

დებათ. როგორც ხედავ, მშვენიერი წესი ჰქონიათ თავად ციციშვილებსა და მონაწილეებს (სიძეებს და მონასყიდეთ).

თვითეული მონაწილე, განთავისუფლებული მთის მზრუნველობისაგან, თვე და თვე პენსიასავით, წილის შესაფერ შემოსავალს იღებს და დრო ეძლევა დაკვირვებით მოუაროს თავის სახნავ-სათესს და საზოგადოთ თავის ბარის მამულს.

კანტორას სხვა სიკეთეცა აქვს: რაიმე უბედურების დროს ყოველ მონაწილეს აუცილებლივ შემწეობა ეძლევა. ყოფილა შემთხვევა, როცა რომელიმე მონაწილეს წილი გაჰყიდვია, კანტორას იგი გამოუსყიდია და უსასყიდლოდ პატრონისთვის ჩაუბარებია. კანტორას ჰყავს თავისი სტიპენდიანტი და მისი წყალობითვე დაარსდა სოფელს ქარელში ციციანთ მომხმარებელი მაღაზია.

ყველა ამისდა მიუხედავად, გადაათვალიერეთ „საციციანომთის“ მონაწილეთა სია და იქ გვარებისა და ეროვნებათა ისეთ აღრევას დაინახავთ, რომ გაგიკვირდებათ: ამ მამულს „საციციანო“ რათა ჰქვიანო.

იქ დაინახავთ, რომ უდიდესი წილი ამ, ოთხ მაზრაში გაჭიმულ, უზარმაზარ სათავადოსი ქარელის ურიებს ეკუთვნის. მონაწილეთა შორის დაინახავთ სომხებს, ბერძნებს, რუსებს და ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის წარმომადგენელთ. იქვე დაინახავთ რომ სოფელ „ჰანდრების“ გლეხებს ეკუთვნის 1/16+1/64, რაიც შეადგენს 6.000 დესეტინაზე მეტს.

იქვე დაინახავთ, რომ მეტი წილი ციციშვილებისა კანტორის სიიდამ ამოშლილია და მის ადგილს სხვის სახელია ჩაწერილი. კანტორაშივე გაიგებთ რომ, ვინც ციციშვილი კიდევ და დარჩენილა, ვალითა და ვახშით ისეა დატვირთული, რომ დღეს თუ ხვალე სხვის ბედი მოელის. ეს მთა.

ახლა ბარი. საციციანოს ბარის გამიჯვნა ამა 1912 წლის შემოდგომით დამთავრდა. 16.000 დესიატინიდამ ციციანთ სახელობაზე არ დაყორლნილა არც 3.000 დესეტინა. ამავე წლის შემოდგომით ეს 3.000 დესეტინა, ვგონებ უნაკლულოდ უკვე დაგირავებულ იქმნა სხვა და სხვა ბანკებში. დანარჩენი, ჩვენდა საბედნიეროდ, გადავიდა ადგილობრივ გლეხობის ხელში. მეტ წილს წინ-დვე ჰქონდა ნაყიდი, დანარჩენებმა კი მეჟევანიის დროს შეისყიდეს და თავისივე სახელზე დაიყორლნეს. წინად გამოყოფილ თომა ციციშვილის 7.500 დესეტინა ერთიანი მამული, ხაშურის გასწვრივ, გადავიდა ასლან მდივანის ხელში და ეს უკანასკნელი დღეს თუ ხვალე გაათავებს უცხოელ კაპიტალისტებთან მოლაპარაკებას, ამ მამულის მათზე გაყიდვის შესახებ.

2) გადავიდეთ ახლა სკრის ხეობაზე.

ეს ხეობა მთლად დაკარგეს თავად მელიქიშვილებმა და თქვენს მტერს დაემართოს, რაც მათ მოუვიდათ. სხვათა შორის დიდი წილი ამ სათავადოსი ქართველ კათოლიკეთა ხელში გადავიდა, დანარჩენი პატივცემულ ბ. ფრიდონოვისა და ავსარქისოვის ხელში.

ამ უკანასკნელთ სოფლად დიდი ფული დაატრიალეს, სამუშაო გააჩინეს და მეხილეობის კულტურა გააჩაღეს.

3) იგივე ბედი ხვდა ერისთვიანთ ატენის ხეობას: ხიდისთავში გორელმა სომხებმა მოიკალათეს; ატენში—ჩვენმა ბანკმა და გლეხობამ; კარგა დიდი ნაწილი ატენის ხეობისა პოლკოვნიკ სიმონოვმა შეიძინა, დანარჩენი სახელმწიფო ბანკმა და აქედამ ლეკმა ჯამათ-ჰაჯიევმა.

4) **საჯავახო**. საჯავახოს მთის გამიჯვნა 1904 წელს დამთავრდა. ამა 1912 წელს საჯავახოში ჯავახიანთ სახელი უცნობი ხილი გახდა. ისეთ დიდ და მშვენიერ მამულებს, როგორიც არიან: „სახორცე“, „ტამი“, „კლიკი ჯვარი“ და სხვა (თვითეული 1000 დესიატინაზედ მეტი) იგივე ლეკი ჯამათ-ჰაჯიევი დაეპატრონა. „ბორცვანი“ და „თრიმლნარა“, ორი დიდი და მშვენიერი მამული, შეძლებულ მემამულე გრიგოლ ჯავახიშვილისაგან რუს პროფესორმა შეიძინა. დანარჩენი ზოგი ოსობამ და მეტი წილი ჩვენს ბანკს მძიმე ტვირთად აწევს.

საჯავახოს ბარისა რაღა მოვახსენოთ. ის რომ, როგორც ყველგან, ჯერ ბარსა ჰკარგავენ და მერე მთასა.

5) **სათარხნოში** გასაყიდი მამული რომ აღარა დარჩა რა, საშენებელ მასალად ჰყიდიან დიდი მოურავის, გიორგი სააკაძის, ციხე-დარბაზის ნანგრევებს სოფელს ნოსტეში.

6) **ქვემო-საციციანო**, ანუ ნიჩბისის ხეობა. აქაურ მემამულეთა ამბავს, მსურველი, ჩვენი ბანკის ახლად გამოქვეყნებულ სატორგო ფურცლებში ამოიკითხავს.

7) **დიღმის ველი.** აქ დარჩა მხოლოდ ყოფილ გუბერნიის მარშლის კონსტანტინე მუხრან-ბატონის დიდი მამული, რომლის ჩაბარებას მოუთმენლად მოელიან პეტრეს ქალაქის უმაღლეს წრეებში გაბნეული „გაჭირვებული“ მემკვიდრენი. დანარჩენი ხატისოვის პარტიას შეუძენია.

8) ხაშურის მიდამოებში „საბაშიო“ გაქრა.

9) **საამარეჯიბოს** და **საფალავანდოში** ჩვენ ბანკებს თუ რამე გადურჩა, ეს გაუყოფლობის შიზეზით. ამ რაიონში გლეხებმაც ბევრი კაი მამული შეიძინეს.

10) **დვანის ფრონის ხეობა.** კალატოზიანთ თვალ-უწვდენელი „დედოფლის მინდორი , რამდენიმე ათასი დესეტინა, საგლეხო ბანკის ხელთაა. დვანელი ფავლენიანი და ხერხეულიძიანი ამ ხეობიდან წავიდნენ, აიყარნენ, იქ აღარ არიან. ერთი კომლი მათგანი, დარჩენილი სოფელს ყორნისში, ისე გაოსდა, რომ ქართულს ვეღარ ახერხებს და ვერც გაარჩევთ დანარჩენ ოსებში. ბორჯომის ყოფილი მებატონენი და სოფელს ბრეთში შეხიზნულნი, ჩვენი პროლეტარიატის მედროშეთა ყურადღებას ღა თუ დაიმსახურებენ.

11) ორი მშვენიერი და მთლიანი, საქაშეთისა და ბრილის მამული 5.000 დესეტინამდე საგლეხო ბანკისა და გომის სინდიკატის ხელთაა.

12) მაჩაბლიანთა და ერისთავიანთ ხომ სახელიც დაავიწყდათ თავის ბარის მამულებისა. გადარჩა ერთი, ორი, როგორც მაგალითად ს. კარალეთის მემამლე მ. ერისთავი.

თავის იურიდიულ მდგომარეობით სამაჩაბლოს მთა თითქოს გარანტიას წარმოდგენს გაყიდვისაგან. მაგრამ ამ შემოდგომით კაპიტალისტებმა იქ შეიძინეს ერთი მამული 11.000 დეს. რვა მანათობაზე, მეორე—3.000 დეს. თხუთმეტ მანეთობაზე. ევაჭრებიან შესამე, მეოთხე, მეხუთე და სხვა მამულებსაც. **აბესალომ მაჩაბლის** 30.000 დესეტინა მთა და ბარი გაჭრა, სხვის ხელთაა: ყარაბეგოვებს, ღამბაროვებს და სხვათ ჩაბარდათ.

13) **საამილახვროში** განსვენებულ ღენერლის თ. ნიკო გივის ძე და ცნობილი გიორგი ოთარის ძე ამილახვრის სახელი ღა თუ იხსენება.

14) **სამუხრან-ბატონოში** მუხრან-ბატონობენ „უდელი“ და ხატისოვის პარტია.

15) **საგურამოში** გურამიშვილი აღარავინ გვეგულება.

16) ბორჩალოს მებატონენი თავის დროზე ყველაზე გავლენიანი იყვნენ, ამ გავლენის გამო იქ ყველაზე ადრე დამთავრდა გამიჯვნა და ყველაზე ადრევე დაკარგეს იქაურმა ორბელიანებმა, ბარათაშვილებმა და მელიქიშვილებმა თავიანთი, მართლაც რომ, ლატიფუნდიები. მათ ნამამულარებზე ხაროობენ უდელი, თათრები, სომხები, ნემცები, რუსები, ბერძნები, თამამშოვები, თაიროვები, ყაზაროვები, მანთაშოვები და მრავალნი ტომნი სხვა და სხვა ისტორიულ ხანას შემოსეულნი. ამ ბოლო დრომდე შენახული შესანიშნავი ახპატის მამული, 15.000 დესეტინა სასტუმრო „ორიანტის“ ხადიმებმა იმ-სხვერპლეს და არამიანს ჩაუგდეს ხელში. ერთ უდიდეს მემამულის ქონებიდან, მადლიერმა თავად-აზნაურობამ მის მიმკვიდრეს რამდენიმე ასი დესეტინა გადურჩინა, რათა გამოჩენილ მარშლის მემკვიდრეს, მათდა სამარცხვინოდ, ცენზი არ დაჰკარგოდა. აი სურათი თავად-აზნაურობის მიწათ-მფლობელობისა. იდეალის და მიზანს მოკლებულმა თავადობამ, სულ მცირე ხნის განმავლობაში გაუშვა ხელიდან აუარებელი ქონება, რომლის კულტურული ნაწილი — ბარი, ნაწილ-ნაწილად გლეხობამ შეიძინა ხოლო მთის მეტი წილი —კაპიტალისტებმა.

თუ ჩვენ თავად-აზნაურობას კიდევ რამე დარჩა, ისიც ისეა დატვირთული ვალითა და ვახშით, რომ ამ სულ ცოტა ხანში ცენზიანი თავად-აზნაური ცაცია ხელის თითებზე ჩამოითვლება გლეხობა კი გაშმაგებული დღე მუდამ საკუთრების შეძენაშია, ხოლო მას უკიდურესად ეჯავრება ჯგუფობრივი, ერთობრივი სყიდვა მიწისა. არა, ჩუმადა და კერძოდ იძენს იგი წვრილ-წვრილ მამულს. ამასვე ხელს უწყობს მემამულეთა მიწების გაფანტულობა წვრილ-წვრილ ნაჭრებად.

დიდ-მამულოვან მემამულეთა და უმამულო გლეხების ნაცვლად დღეს ქართლში გაჩნდა მრავალ რიცხოვანი კლასი წვრილ მესაკუთრეთა, გინურჩევლად წოდებისა.

ამ კლასს კი ვერც ერთისა და ვერც მეორე ჯგუფის იდეოლოგია ვეღარ დააკმაყოფილებს.

ვინმე სოფლელი.

თანამედროვე ანექდოტები

„მე სრულებით არ მინდა ჭკვა, სთქვა ერთმა აზნაურმა და თან ორი დიდი გელაქნური გადაყლაპა“. აი ეს „ანექდოტი“ მოგვაგონდა გვაზაგას ორი უკანასკნელი წერილის დროს „მე არ ვფიქრობ ბ. ი. თუმანიშვილის გამოსარჩლებას... მაგრამ...“ ორი კვირის განმავლობაში მარტო ბ. ი. თუმანიშვილს ესარჩლება. კარგსაც შვრება, რადგან... აი დასწყევლა ღმერთმა, ისევ ანექდოტი მაგონდება: „ერთ მოსამართლეს გადაწყვეტილი ჰქონდა დამნაშავეს გამართლება, მაგრამ ვექილმა იმდენი რამ წარმოთქა, რომ მოსამართლემ თვალები დააჭყიტა

გაგვრეგებით: მართლაო?! და დამნაშავე ციხეში გაგზავნა".

ასეთი ანექდოტიური გუნება იქნებ გვაზავს იმ ანექდოტმა გამოიწვია, თუ როგორ წავიდა დეპუტაცია ვ. ი. თუმანიშვილის დედასთან სამადლობელოდ და მან მიუთითა შვილზედ: „მადლობა იმას უთხარითო". სიყვარულის და პატიეისცემის ღირსია თუმანიშვილის დედა ასეთის თავმდაბლობისთვის, მაგრამ შვილს რაც არ გამოჰქონდა ასეთი ზნე-ჩვეულება. ბირიქით, თუმანიშვილთან ათობის საკითხის შესახებ შეიკრიბა ხალხი და მან კი თავის თავზე მიუთითა: მადლობა გამოიცხადეთო... კახ. რკ. გზის შესახებ. საიდან სადაო, წმიდაო საბაო? მაგრამ ბედმა ზოგჯერ დაცინვაც იცის და „ზაკვკავზიეში" № 274 ახალ ანექდოტს ვკითხულობთ: ეპისკოპოსი ანტონი უცხადებს თანაგრძნობას თუმანიშვილს, კახ. რკ. გზის გამოისობით კი არა, რისთვისაც თუმანიშვილს დანძღავენ,—ეკლესიის ფულის ძლევისათვის.

ოფსუს, დახარჯულო ჩაიო!

ტფილისში გავარდნილ უაზრულს ეტყვიან მადლობას, რომ მოვა და დარიბ კაცს მისცემს რასმე და ვ. ი. თუმანიშვილი ხომ „უანგარო და უმწიკვლო საზოგადო მოღვაწეა". არა ბჯერათ? აბა წაიკითხეთ „თემის" რეხი და „რეხის" თემის გამოცხადებული ბროტესტები — ესეც ხომ ისტორიული ანექდოტია: „30 ნოემბერს 1912 წ. ათონის მონასტრის შესახებ კერძო თათბირისთვის შეკრებილნი... მო

ამ საუდგურს უნდა ეწოდოს „პავლუშა ტუმანოვო“.

ეს იქნება ნამდვილი დაგვირგვინება საქმისა!

მაგრამ ეს ცოტაა.

ამ სადგურზედვე უნდა გაიხსნას უმაღლესი საკონცესიონერო კურსები და ლექტორად ბატონი გვაზავა უნდა იქნეს მიწვეული. ამავე სადგურიდამ უნდა დაიჭრას სექტორები საქართველოს ყველა კუთხისკენ და მოწვეულ იქმნან სამშობლო ქვეყნის ინჟინერები, რომ ათი წლის განმავლობაში მთელი საქართველო რკინის გზების „გაგრძელებით“ დასერონ, მაგრამ ერთის პირობებით კი:

ყველა გზაზედ თითო სადგური უნდა იქმნას გამოყოფილი და ამ სადგურებს „პავლუშინო“ უნდა დაერქვას.

როცა ყველაფერი ეს დამთავრდება, უნდა აღძრულ იქმნას უმაღლესი თხოვნა სიღნაღ-ბაქოს რკინის გზის სახელის შეცვლაზედ და მამულიშვილებმა—

რომელნიც მოიყრიან თავს ახალ-კლუბში ან თვით თავად თუმანიშვილის სახლში,—ითხოვონ, რომ გზას სახელად „პავლუშო-ტუმანოვსკაია ჟელეზნაია დაროგა დაერქვას“.

თუ ამ თხოვნამ არ გასჭრა, მაშინ, თავად თუმანიშვილმა უნდა დაჰპატიჟოს ჩაიზედ უწმინდესი სინოდი და ყველა საარქეოლოგიო საზოგადოებანი და ერთიც გრიგოლ დიასამიძე და ხელი მოაწერინოს პროტესტზედ.

მერე უნდა ჰყარონ წილი თუ რომელ გაზეთში დაიბეჭდოს ეს პროტესტი.

„თემში“ თუ „ზ. რეჩში“.

და როცა ეს გაკეთებულ იქნება, თავადმა თუმანიშვილმა უარი უნდა სთქვას მარშლობაზედ და „თემის“ თანამშრომლად ჩაეწეროს.

ამაზედ არავინ უნდა გაიცინოს.

თუ გაიცინა ვინმემ—„თემმა“ უნდა იმწამსვე პროტესტების წერას მიჰყოს ხელი და თავისი თავი სარკინისგზო პარტიად გამოაცხადოს.

ფარსმან-ფარუხი.

ცხოვრების გაძვირება საქართველოში

I

„ცხოვრების გაძვირებაზე ამ ჟამად ყველგან ლაპარაკობენ: სავაჭრო ადგილიდან დაბრუნებისას, ამ საგანზე საუბრობს ცოლი მუშისა, ხელოსანისა, მოხელესი; ამავეზე ლაპარაკობენ სახალხო კრებებზე, ქალაქის თვითმართველობებში, პარლამენტებში; ამ საგანს ეხებიან გაზეთები, ჟურნალები, რომლებმაც საგანგებო განყოფილებანიც გაიჩინეს სადაც ნუსხავენ სიძვირის უფრო საინტერესო ცნობებს. მრავალ სახელმწიფოში ცხოვრების გაძვირებამ უკვე გამოიწვია მცხოვრებთა მღელვარება; გერმანიაში და საფრანგეთში ამ ნიადაგზე „ქალთა ამბოხებაც“ მოხდა, რაიცა ზოგ ალაგას პოლიციასთან სერიოზულ შეტაკებით დამთავრდა. ავსტრიაში ქალები სიძვირის წინააღმდეგ საბრძოლველად შეკავშირდნენ კიდეც, ხოლო ვენაში—სოციალ-დემოკრატების მიერ გამართული მიტინგი—პოლიციის ხრიკებით სისხლის ღვრით დაბოლოვდა. თვით მშვიდობიან ინგლისშიც გამოიწვია საზოგადოების მღელვარება ცხოვრების გაძვირებამ, ხოლო გერმანიაში, ხალხში დღითი-დღე იზრდება უკმაყოფილება, რაიცა არჩევნებშიც გამოიხატა“..[1])

ამავე ჟურნალის მეორე თანამშრომელი, ბ. ციცეროვიჩი [2])—ეხება ცხოვრების გაძვირებით გამოწვეულ მოძრაობას სხვა ქვეყნებში, ის იხსენებს ჩიკაგოს (ამერიკა) მოძრაობას ბინის გაძვირების წინააღმდეგ. ნიუ-იორკის მოძრაობას ხორცის გაძვირების გამო, ხალხის საერთო მღელვარებას იტალიის სამეფოში, ისპანიაში, ბელგიაში, ბოჰემიაში, პოლონეთში. ცხოვრების გაძვირებას ამ ჟამად სარჩულად უფენენ აგრეთვე რევოლიუციას ჩინეთისას, ოსმალეთისას, სპარსეთისას და ყველა იმ სოციალ-ეკონომიურ ხასიათის უკმაყოფილებას, რომელზედაც მთელი ევროპის ყურადღებაა მიჯაჭვული.

როგორც სხვა ქვეყნებში, ცხოვრების გაძვირებას დიდი ალაგი აქვს რუსეთშიაც. ვერ დაასახელებთ ერთ საგულისხმიერო ჟურნალსა თუ გაზეთს, რომ ამ საკითხს გულდასმით არ ეხებოდეს და არ ნუსხავდეს არსებულ წეს-წყობილების ყოვლად შეუწყნარებლობას. რაც ფრიად საგულისხმო და სიმპტომატიურია, ცხოვრების გაძვირება მეტი სისწრაფით იმ ქვეყნებში ვითარებდა, რომელნიც რამდენიმე წლის წინად სასოფლო-სამეურნეო მასალების უხვად შექმნით და მსოფლიო ბაზარზე გამოტანით, უკანასკნელ ყოფაში აყენებდა ევროპის სოფელს. რუსეთსა და ამერიკაში ისევეა გაძვირებული

[1]) „Совр. міръ“ სტატია ნახიმსონისა —„Дороговизна“. III—1912 წ. Спб.

[2]) ვგულისხმობ სტატიას: „ფალსიფიკაცია და სუროგატი“.

ყოველივე სანოვაგე, ისევეა გაძნელებულ-გამკაცრებული ცხოვრება, როგორც საფრანგეთსა და ინგლისში. პირიქით, ინგლისში მრავალი სანოვაგე გაცილებით უფრო იაფია, ვიდრე რუსეთში. ეკონომისტი ტუგან-ბარანოვსკი ეხება ამავე საკითხს და აღიარებს, რომ ლონდონში მაგალითად, საუკეთესო ხარისხის პური გირვანქა ერთი შაური ღირს, ხოლო პეტერბურგში $6^1/_2$ კაპ. ჩაი და შაქარი ლონდონში ორჯელ იაფია, ვინემ პეტერბურგში, ერბო გაცილებით იაფი, ვინემ მოსკოვში და სხ. *). მართალია, ამ გარემოებას ერთი საპატიო მიზეზიცა აქვს: ინგლისი თავისუფალ ვაჭრობის ქვეყანაა. მან არ იცის პროტექციონისტური პოლიტიკა რუსეთისა და არც პროჰიბისტური პოლიტიკა იუნკრების გერმანიისა, მაგრამ სურსათის გაძვირებას თვით რუსეთშიაც, თავის სამეფოს ჩარჩოშიაცა აქვს ალაგი. ასე მაგ., ტუგანის ცნობითვე, რუსეთში სხვა და სხვა სახმარებელ საგნებზე ფასი ასე მოძრაობდა:

	1900 წ.	1908 წ.	1909 წ.
ხორბლეულობაზე . .	104,7	143,7	135,2
ხორცზე.	119,7	148,4	153,1
ერბოულობაზე. . . .	108,9	106,1	130,9
საშუალოდ	114,4	132,7	139,7

საცხოვრებელ მასალების ასეთ გაძვირებას ჩვენ ვხედავთ წარმოების სხვა დარგებშიაც. მაგრამ ჩვენ უფრო საქართველოს ცხოვრების სინამდვილე გვაინტერესებს, რადგან საქართველოში ცხოვრების გაძვირებაზე არავინ არაფერს ამბობს, თუმცა ყოველი ადამიანი გრძნობს და განიცდის მის წარმოუდგენელ სიმკაცრეს.

რას გვანახვებს საქართველოს სინამდვილე?

პირველ ყოვლისა, უნდა ვაღვიაროთ, რომ მსოფლიოსათვის ერთგვარ მოვლენაში საქართველოსაც დაუკავებია თანაბარი ადგილი. ცხოვრების ის კანონები, რომელსაც ვხედავთ უცხოეთში, უნაკლოდ განვითარებულან საქართველოშიაც და მიუღიათ ანალოგიური ფორმა. როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიაც ცხოვრების გაძვირება კაი ხანია ვითარდება, მას სათანადო ისტორია აქვს და ჩვენც ამ მოკლე ისტორიას გამოვიყენებთ აქა.

საცხოვრებელ მასალების გაძვირება საქართველოშიაც ქედუხრელ პროგრესით მიდის წინ. „ყველამ ვიცით—ამბობდა განსვენებული პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილი, რომ საქონელი, სასმელ-საჭმელი ჩვენს ხსოვნაში გაძვირდა. ბევრს ახსოვს, რომ 1876 წელს გორში ძროხის ხორცი გირვანქა ერთ შაურად იყიდებოდა. ახლა კი 7—9 კაპ. ავიდა [1]). ამ გვარსავე მოვლენას ვხედავთ პურის ვაძვირებაშიაც. ვახტანგ მეფის კანონებში ვკითხულობთ, რომ კოდი პური [2]) „შაურ ნახევარად (7½ კაპ.) იქნების, უფრო ძვირად, ვინე იაფად“ (ვახტანგის კანონები, ბუხლი 129). გაძვირებაში, გვაუწყებს კანონმდებელი: კოდი პური ღირდა 40—50 კაპ., ან 60 კაპ. (ვახ. მ. კან. მუხლი 126). სამ აბაზად რომ გამხდარა კოდი პური მეჩვიდმეტე საუკუნეში, ამას მოწმობს ერთი სიგელი 1672 წ. ამ წელიწადს პური გაძვირებულიყო და კოდი ხორბალი იყიდებოდა ერთ მარჩალად (მარჩილი სამი აბაზია). ორთა შუა რიცხვით კოდი პური ორ შაურად იყიდებოდა.[3]) შემდეგ საუკუნეში იწყება საარსებო მასალებზე ფასების ზრდა. „აკადემიკოსი გილდენშტეიტი—მოგვითხრობს ხახანაშვილი—1772 წელს მოგზაურობდა საქართველოში და იმის თხზულებაში ამ მოგზაურობის შესახებ ვპოულობთ გამოსადეგ ცნობას ჩვენი საკითხის ასახსნელად. თბილისში, გილდენშტეიტის დროს (1772 წ.) ბათმანი პური ღირებულა რვა კაპეიკი. ბათმანი 20 გირვანქაა. მაშ ერთი გირვანქა ღირებულა 8:20=$^2/_5$ კაპ.“.

როგორც შევნიშნეთ სხოლიოში, კოდი დაახლოვებით უდრის 90 გირვანქას. აქედან დავინახავთ, რომ მეჩვიდმეტე საუკუნეში გირვანქა პური ღირებულა 10:90 კაპ.=$^1/_9$ კაპ., ე. ი. საშუალოდ ერთ კაპეიკად ცხრა გირვანქა პურის ყიდვა შეიძლებოდა, ხოლო მეთვრამეტე საუკუნეში მდგომარეობა იცვლება და გირვანქა პური იყიდება $^2/_5$ კაპ. ე. ი. ერთ კაპეიკად $2^1/_2$ გირვანქა პური იყიდებოდა.

1741 წლის თუმანიშვილის სურსათის ანგარიში—რომელიც შემთხვევით ჩავარდნოდა ხელში ალ. ხახანაშვილს—სხვა საცხოვრებელ მასალების ფასებს ეხება. ძმები მოსავალს იყოფდნენ და ერთ ინდაურის ფასად მეორეს ერთი თეთრი მიეცა [4]). თეთრი უდრის ერთ შაურს, ისე რომ ერთი ინდაური ერთი შაური ღირებულა, რომელიც დღეს 60—80 კაპ. ღირს—შენიშნავს პროფესორი.

თანამედროვე მომხმარებელს სხვა და სხვა საარსებო მასალებისას, უსათუოდ გააკვირვებს გასულ

---

[1]) მას შემდეგ ხორცის ფასმა კიდევ იმატა.

[2]) ზოგ ალაგას კოდი უდრის სამს ფუთს, ზოგან 2 ფ. 10 გირ. ჩვენ ვიღებთ 2 ფ. 10 გირ.—თ. ღ.

[3]) იხ. ალ. ხახანაშვილის „ბატონ-ყმობა საქართველოში“ გვ.130 1910 წ.

*) იხ. Тутань-Барановскій „Къ лучшему будущему“ გვ. 141—142 1912 წ. Вздорожаніе жизни.

საუკუნოებში არსებული ასეთი იაფობა. გაკვირვებაში მოსულა თვით ხახანაშვილიც და ამიტომ ჩქარობდა ამ საგულისხმიერო მოვლენის ახსნას, გამომწვევ მიზეზების დასახელებას. სამწუხაროდ, ღრმაადროვანი პროფესორი სრულებით ვერ მისწვდა დიდმნიშვნელოვან მოვლენის მთავარ მიზეზებს და ეს ფაქტი ისე აგვიხსნა—როგორც გვიხსნის ჩვეულებრივად ყველა ვულგარული ეკონომისტი.

ალ. ხახანაშვილი საარსებო მასალებზე ფასის მოძრაობას უკავშირებს ფულის ასავალ-დასავალს. იაფდება ფული—ძვირდება საქონელი, ძვირდება ფული - იაფდება საქონელი. თუ მეთვრამეტე საუკუნეში სანოვაგე გაძვირდა მე XVII საუკუნესთან შედარებით, ეს აიხსნება ფულის გაიაფებითო. „მე-XVIII საუკუნეში, შედარებით მეჩვიდმეტესთან **ფული გაიაფდა** და მისი ფასი ცოტაი დაუახლოვდა ჩვენის დროის ფულსა“-ო, ხსნის „ბატონყმობის“ ავტორი. „ფული გაიაფდა—პური გაძვირდა“ იმეორებს ხახანაშვილი და ამით საკითხს ზეზერეულად შეეხო, მოვლენა აუხსნელი დარჩა და საგულისხმიერო ფაქტი გაუნათებელი.

საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების მეორე მკვლევარი, პროფ. ივ. ჯავახიშვილიც ეხება საქონლის ღირებულება-ფასოვნობას და, მართალია, დალაგებით არ ნუსხავს საქონლის ღირებულების მოძრაობის ნამდვილ მიზეზებს, მაგრამ მისი, შემთხვევითი და მოკლე ცნობანიც არ გვაგებინებენ მოვლენის ამბავს. საერთოდ კი ივ. ჯავახიშვილი ხახანაშვილივით მსჯელობს ამ საგანზე. „მეთორმეტე საუკუნეში—ამბობს პატივცემული პროფესორი, - აუწერელი სიმდიდრე და ფული ტრიალებდა საქართველოში. ომების, სამხედრო დავლის, აგრედვე ხარჯის წყალობით მოგროვდა აუარებელი სიმდიდრე. ამან აავსო ფულით და განძით საქართველო“. შემდეგ. „მეცამეტე საუკუნის დამდეგს საქართველოში **ფული გადამეტებული იყო და იაფად ფასობდა**“ [1]). ექნებოდა ფულის ამ სიუხვეს გავლენა სხვა და სხვა სახმარებელ საგნების ფასოვნობაზე თუ არა? თუ გავიხსენებთ ალ. ხახანაშვილის კონცეფციას: „ფული იაფია—ძვირია პური“ და „ფული ძვირია—პური იაფია“, მაშინ დავინახავთ რომ, საქართველოში ფულის ამ სიუხვის დროს საქონელი უნდა გაძვირებულიყო და ისე პირიქით, ფულის გაძვირებით გაიაფებულიყო საქონელი. ძართლაც

[1]) იქვე. 131
[2]) იქვე, გვ. 131
[1]) ჯავახიშვილი „საქართველოს ეკონომიური ისტორ.“

რომ ფაქტები ამ ვულგარულ კონცეფციას ამართლებენ, თუ ფაქტებს მეცნიერულად არ შევესწავლით. „1295 წელს, გვიამბობს ივ. ჯავახიშვილი, თ. ქორდანიას „ქრონიკი“-დან—კი კახეთ-ერისთავთ-ერისთავი თავის შესანიშნავ რკონის სიგელში ჩოდა: „ხარკობისაგან **ოქროი ძიურად იყვის და სოფელი იეფადა**“ [3]). როცა მონღოლებმა აიკლეს და ააწიოკეს საქართველო, გაანადგურეს მისი ეკონომიური სიძლიერე, ხარკისა და ძარცვა-გლეჯის საშუალებით შთაინთქა ოქრო-ვერცხლი, ე. ი. შემცირდა ფულის ტრიალი, აი ამ დროს კახა ერისთავთ-ერისთავი წუწუნებს: „მამულის სყიდვის დროს რაიც ხუთიათას თეთრად ღირდეს ორიათასად ძლივს დავაჭირვინი, რაიც ათიათას თეთრად ღირდის ხუთი ათას თეთრად ძლივს გავყიდი (თ. ქორდანია „ქრონიკები“ II - 134) მაშადამე, ხსნის ივ. ჯავახიშვილი—რაშიაც წინად - როცა ფული ძვირად არ იყო 10.000 თეთრს აძლევდნენ ხოლმე. 1259 წ. მხოლოდ 5.000 თეთრი, ანუ ერთი ორად ნაკლები უძლევიათ, ხოლო რაც წინად 5,000 ღირებულა მხოლოდ 2.000 თეთრად, ისიც რის ვაივაგლახით გაუსაღებიათ, ანუ $2^1/_2$ ჯერ იაფად; **ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ ფული ერთი ორად, $2^1/_2$-ად გაძვირებულა**“. [3])

ფული იაფია—ძვირია სოფელი, ძვირია ფული - იაფია სოფელი—აი სინტეზი ხახანაშვილ-ჯავახიშვილ კახა ერისთავთ-ერისთავის თეზისებისა. დაკვირდით ახლა ამ მსოფლხედველობას, ფრიად საგულისხმიერო ფაქტის ანალიზს, და თქვენ მყისვე შენიშნავთ, რომ საქართველოს ცხოვრების კვლევა-ძიებაში სახელგანთქმული პროფესორები მხოლოდ ქრონიკულ სინამდვილეს ხსნიან, ნუსხავენ ამბავს, ფაქტს, ხოლო ეს ფაქტი სრულებით არაა გაგებული და გარკვეული.

მრავალ საბუთების მოყვანა შეიძლება დასამტკიცებლად კახას სიგელისა, რომ აღვიაროთ საქართველოში მე-XII საუკუნეში, როდესაც. „ყვაოდა“ ჩვენი მხარე, საქონელი და ყოველგვარი სანოგაგე ძვირი იყო, რომ მე-XIII და მე-XIV საუკუნეში, —როცა საქართველო თანდათან დაკნინდა, დაუძლურდა, ფულებით დაიცალა—საარსებო მასალები უფრო გაიაფდა. მაგრამ განა იმით რომ ფულები დაილია? სრულიადაც არა. მიზეზი მხარის სოციალ-ეკონომიურ პირობებში უნდა ვეძიოთ.

[3]) გვ. 84—კურსივი ჩემია.
[2]) გვ. 83

როგორც ისტორიიდან ვიცით, მე-XIII—საუკუნემდე აღმოსავლეთის მთელ სიმდიდრეს, ამოძრავებული ევროპა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის საშუალებით იყენებდა. ვის არ მოეხსენება სტრაბონის და სხვა რომაელ ისტორიკოსების ცნობები, თუ ძველად ჩვენი ქვეყანა რა რიგად იყო განვითარებული განათლებულ ერების ჩვენი, ქვეყნის საშუალებით ურთი-ერთობის გამო. შავი ზღვის პირად მრავალი კოლონია-ფაქტორიები შენდებოდა, უცხოელები თავიანთ ქარავნებით, ვაჭრობით, წარმოებით ერთნაირ სიცოცხლეს ქმნიდნენ და ისე აყვავილ-ხვავილებდნენ საქართველოს მადამოებს, რომ ისტორიული დიოსკურია ხალხთა ქვეყანასაც წარმოადგენდა. ე. ი. მე-XIII—საუკუნემდე საქართველოში ვაჭრობა-აღებ-მიცემობა ვითარდებოდა: თუ არ მივიღებთ შავ პერიოდებს ჩვენი ცხოვრების ისტორიისას შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამის გამო საქართველოდან ყოველი ზედ-მეტი და სხვისთვის საჭირო ნივთები გაჰქონდათ და სანაცვლოდ ჩვენთვის საჭირო შემოჰქონდათ ესე იგი ნივთებს ბაზარი ჰქონდა. არსებობდა მოთხოვნილება, ეს მოთხოვნილება მიწოდებას ჩამოუვარდებოდა და ამიტომ საქონელზე ხეირიანი ფასებიც იყო. ომიანობაც სარფა გამოდგა იმ ხანად ქართველთათვის, მაგრამ ფული მარტო ომიანობას არ დაუგროვებია ჩვენში, არამედ ის იყო ნაყოფი აგრეთვე საქართველოს მაშინდელ აღებ მიცემობისა და ვაჭრობისა.

მე-XIII საუკუნიდამ და განსაკუთრებით მე-XIV—საუკუნიდან საქართველოს მზე ჩაესვენა. ცნობილ ვასკო-დე-გამას აღმოჩენამ ვაჭრობის მიმართულება ერთიანად შესცვალა და საქართველო ერთიანად გაირიყა. ომიანობამ და ომის ცუდმა პირობებმა მხოლოდ დროებით შესწყვიტეს ვაჭრობის ძალა, ამით ფული გაძვირდა, ხოლო შემდეგ ფული ველარ გაიაფდა, რადგანაც ახალმა გზებმა ვაჭრობა ჩვენ მხარედან სხვაგან გადაიტანეს. ჩვენს ქვეყანაში არსებულ მიწოდებას აღარ ჰქონდა გასავალი და ამიტომ სხვა და სხვა მასალებზე ფასებიც დაეცა.

რომ საარსებო მასალაზე ფასების მოძრაობის ახსნა უფრო შეეფერება სინამდვილეს, ვინემ ხახანაშვილ-ჯავახიშვილის ფულის რაოდენობის თეორია, ამას ჩვენ რუსეთის ცხოვრების უახლოესი მაგალითები გვიმტკიცებს. ფულის რაოდენობის თეორიას ამ ჟამად ბევრნი აღარ იზიარებენ. ამ თეორიისა არაფერი სწამს ტუგან-ბარანოვსკისაც და მათ წინააღმდეგ მოჰყავს ფრიად საგულისხმიერო ფაქტი: 1890—94 წ. ოქროს დავლა მოიმატა $54^{0}/_{0}$, შემდეგ ხუთ წლებში—$56^{0}/_{0}$, $35^{0}/_{0}$ და 1905—09 წ. —$21^{0}/_{0}$ და ამავე დროს ფასების ზრდა სწორედ 90—94 წ. იყო უმნიშვნელო [1].

რომ საარსებო მასალების გაძვირებაზე უმთავრესი გავლენა ჰქონდა მხარის სოციალ-ეკონომიურ პირობებს, მწარმოებელ ძალთა ვითარებას, ამაში ჩვენ საქართველოს შემდეგი ახალი ცხოვრებაც აშკარად დაგვიმტკიცებს. შემდეგ წერილში შევეხებით საქართველოს ახალ ცხოვრებაში განვითარებულ სიძვირეს. კონკრეტულ მასალებს და მიზეზებს ამ მოვლენისას.

თევდ. ღლონტი.

ახალი ამბავი

გურიიდამ იწერებიან, რომ სოფ. ეკალდიდში გრიგოლ ჯაყელის მამულში ჩამოვიდნენ კიდეც ინგლისის საზ. „ჩაკენი“ ს წარმომადგენლები და ენერგიულად შეუდგნენ ნავთის ადგილების გამოკვლევას. თან ჩამოუტანიათ ყველა იარაღები და მოწყობილობა ამ გამოკვლევისთვის. ელექტრონის მოტორები, მიწის სახვრეტი მანქანები და სხვა. ადგილი, სადაც პირველად დაიდგმება სახვრეტი ბურღი დიდის ამბით აკურთხეს. ამ საქმის მწარმოებელი ინგლისელი ი. დუელი დიდი იმედით არის და ამბობს, რომ ორი თვის შემდეგ ნავთს აღმოაჩენს კიდეც.

როგორც გადმოგვცემენ, ამა წლის თიბათვეში პარიზში მომხდარა მრავალ რიცხოვანი კრება სხვა და სხვა „პატარა“ ერთა წარმომადგენელებისა, რომელზედაც ყველანი აღფრთოვანები მიჰგებებიან იდეას დაჩაგრულ ერთა დაახლოვებისა და ურთიერთ გაცნობისა. კრებას დაუდგენია ახლო მომავალში კონგრესის მოწვევა; დაყოფილა ეროვნულ სექციებად, რათა შეიმუშაონ პროგრამა მოქმედებისა და ყველა ეროვნების წარმომადგენელს მოუპოვონ ადგილი ამ მომავალ საერთა-შორისო კონგრესზე.

რედაქციამ მიიღო თ-დ. ს. მ. ჩოლაყაშვილის მიერ შედგენილი წიგნი „ფილოქსერა და მასთან ბრძოლა“. წიგნი კარგად არის გამოცემული, დასურათებულია და შეიცავს 100 გვერდს. თუ რამდენად

[1]) ტუგანის დასახელებული ნაწარმოების გვ. 145.

საჭიროა და საინტერესო ეს წიგნი, მ სიკვე წინასიტყვაობიდანა სჩანს, საცა აღნიშნულია, რომ საქართველოში 41400 დესეტინა ვენახია, რომელსაც წლიურად მოაქვს არა ნაკლებ 10,000,000 შემოსავლისა. და ამ სახალხო ბიუჯეტს ემუქრება მოსპობას დასახელებული მტერი. წიგნი ფრიად საყურადღებოა და შემდეგში მის მოკლე შინაარსსაც გავაცნობთ მკითხველებს, თუმცა მვენახეებისთვის და დაინტერესებულთათვის იგი სრულად უნდა შეადგენდეს აუცილებელ საგანს სახლში. ფასიც ხელმისაწდომი აქვს—სულ ექვსი შაური ღირს.

კვირას, 9 ქრისტიშობისთვეს, დეკუტატთა საკრებულოში (Бѣлинская 2) მოხდება კერძო თათბირი კან. რკ. გზის შესახებ... თუმცა „კერძო“ თათბირს ფირთე საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.

——

ვენის ბარდაშენტის საბიუჯეტო კომისიაში სლოვაკებმა ობსტრუქცია გამართეს.

სლოვაკ კოსტიჩარს ულაპარაკია შეუწყვეტლივ $13^1/_2$ საათი. დაიწყო საღამოს 6 საათზედ და დასრულდა დილის $7^1/_2$ საათზედ. ესლა დაბარაკობს სლოვაკი კოროშეცი...

დამთავრებას აბირებს 1 იანვარს 1913 წ.

ᲞᲠᲔᲡᲐ

„თემი“ ნიანგის ცრემლებსა ღვრის თავ. თუმანიშვილზედ. მაგრამ ლაპარაკს ცოტა შორიდან იწყობს, რომ თავისი „პრინციპებიც“ გამოამზეოს. როგორც ყოველთვის, ვერც ეხლა ახერხებს ამას და უფრო მეტს ორჭოფობას იჩენს. ვერ გაგვიგია რა მოსწონს გაზეთს: თავად-აზნაურობას ლანძღავს, მაგრამ:

„რადგან ჩვენი საზოგადო დაწესებულებათა იგი ერთად ერთი ნიადაგური წყარო, ამიტომ ნებაუნებლიეთ უნდა დროგამოშვებით ყიდაბარ კოთ ხოდმე“.

პრინციპების გამომზვებაც ამასა ჰქვიან! „დროგამოშვებით“ ლაპარაკი თავად-აზნაურობაზედ მარტო მისთვის, რომ მას „მსუქანი ჯიბე“ აქვს,—ამის თქმა პრინციპების გამოჩენა კი არა, ყველა პრინციპის უარყოფაა.

ასეთი პრინციპი ეთიკას მოკლებულია.

პირადათ თუმანიშვილზედ შემდეგს წერს

„ახლა დეგნა დაუწეს ჩვენ ... და ... ბატიოვცეშულს ... თუმანიშვილს. რა სახელებს არ არქმევენ. წარმოიდგინეთ, მოდალატის სახელითაც კი მოხსოლეს. მერე ვის ეუბნებიან ამას? ბაკლე თუმანიშვილს, რომელმაც, ვის მოსთვლის რაოდენი კეთილი საქმე გაუკეთა თავის საკუთარ სამშობლოს“.

რაღა „ვინ მოსთვლის“?

განა თვითონ „თემს“ კი გაუჭირდება!

„მან დააარსა საუკეთესო ყურნალ-გაზეთები, მან დააფუძნა საუკეთესო დრამატიული ბრეშიები. თითქმის მთელი ქონება ზედ გადაგვაგო“.

არავინ არ უარჰყოფს ამას, მაგრამ როცა „თემი“ ამას იგონებს და კახეთის რკინის გზას კი ივიწყებს, ჩვენ ისლა დაგვრჩენია ვსთქვათ, რომ—

Avec les petits c de ux on fait des grands amis.

„ჩვენ კი ჩვენდა თავად ვფიქრობთ, ბ. თუმანიშვილი რაც უფრო მალე მოაშორდება თავად-აზნაურულ საქმეებს, მით უფრო სასარგებლო საზოგადო მოღვაწე შეიქმნება თავის სამშობლოსთვის“.

ასეთ გამოქომაგებას, გვგონია, თავადი თუმანიშვილიც არ მოელოდა.

აკაკი წერეთელი ხომ გაასოციალ-დემოკრატა, „თემმა“, ახლა ალბად თუმანიშვილის გასოციალ-დემოკრატებაც უნდა. ჩვენც დიდის სიამოვნებით ვეგებებით ამ აზრს რაც უფრო მეტ ხალხს შეიძენს „თემი“ მით უფრო მალე, „დააარსებს“ თავის პარტიას და ჩვენც გველარსებ ... ამ გაზეთის „პროგრამმაც“ ვიხილოთ!

——

მანამდის კი „თემი“ ერთ სასარგებლო საქმეს შეუდგა: „მზადდება პროტესტები!“

გამოაცხადა „თემმა“ და ამუშავდნენ ბარათები. მაგრამ ამ პროტესტებს „განმარტებაც“ თან მოჰყვა.

გაზეთ „ზაკავკაზიეში“ ეპისკოპოსი ანტონი სწერს:

„თქვენს გაზეთში მოუვანიდ წერილებს გამო თავ. ბ. ი. თუმანიშვილის შესახებ, რომელსაც მე გამოუცხადე ჩემი თანაგრძნობა, გულმოდგინეთ გთხოვთ მახლობელ ნომერში დამიბეჭდოთ შემდეგი.

ჩვენ დროში, როცა ყველა სარწმუნოებრივის გულგრილობით არის გამსჭვალული, მე, ეპისკოპოსმა, გულის დიდის სიხარულით გავიგე, რომ თავ. ბ. ი. თუმანიშვილი ... დიდ დახმარებას უწევდა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

მართალ-ძალიდებულ ქვეყნისას, რაც ამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ არ განელებულა სითბო ქრისტიანულ სიყვარულისა, რაც კეთილშობილ სულთა საუკეთესო სამკაულს შეადგენს.“

განა ამ წერილიდან ცხადი არ არის, რომ ეპისკოპოსი თანაგრძნობას უცხადებს თუმანიშვილს ქრისტიანულ სიყვარულისთვის და არა იმიტომ, რომ თუმანიშვილმა კახეთის რკინის გზა ბაქოს გზას თან გააყოლა!

აი ასე იწერება ჩვენი პროტესტები!

— —

,,მზადდება პროტესტები.''

ეს გახლავთ სიტყვა-სიტყვით ამოწერილი იმავ ,,თემიდან.'' მსურველთ შეუძლიანთ მოიკითხონ ,,ახალ-კლუბში'', თავ. თუმანიშვილის ბინაზედ, გაზ. ,,თემში'' და ,,ზ. რეჩში.'' ხელის მოწერა შეუძლიანთ ყველას,

დაწყობილი ,,ახალ-კლუბის'' ოფიციანტებიდან და გათავებული ყოფილ ბოქაულებით.

ისინი, ვინც ერთ პროტესტს სამჯერ მოაწერენ ხელს, ჰრემიად მიეცემათ წიგნი: ,,ქართველთა მონასტერი ათონზედ'' გამოცემა თავ. თუმანიშვილისა.

პროტესტები უნდა გაიგზავნოს ,,ზ. რეჩში,'' სადაც განსაკუთრებული რუბრიკა იქნება დაწესებული.

— —

ყველამ იცის რომ არის მწერალი ემილ ოჟე.
არის აგრეთვე პოლ ბურჟე,
იყო მწერალი ბერანჟე
არის სახელმწიფო მოღვაწე ბულანჟე
და ჭურჭლის მაღაზია—ფრაჟე!
ფრაჟეს გვერდზე არის „ზ. რეჩი“
და „ზ. რეჩში“—მწერალი „ონჟე“.

ონჟე ფრანგი არ არის,—იგი ერთი ქართველი „მამულიშვილია“! მწერლის დიდი ნიჭი არასოდეს არა ჰქონია, მაგრამ წერით მუდამ სწერს და როგორც ერთი რომაელი სენატორი მთელი თავისი სიცოცხლე მარტო კართაგენზედ ლაპარაკობდა, ბატონი ონჟეც მაშინ უფრო სწერს, თუ სიტყვა თავად გ. ბაგრატიონზე ჩამოვარდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბ-ნი ონჟე „პუბლიცისტად“ თავადმა ბაგრატიონმა გახადა.

წარსულ წერილში ჩვენ გამოვსთქვით სურვილი, საზოგადოებას დაესახელებინა კანდიდატი მარშლის თანამდებობაზედ.

ამ აზრმა ისე გააოცა ბატონი ონჟე, რომ გაკვირვებით გვკითხავს.

,,არ გეგულებოდეს, რომელ საზოგადოებაზედ არის დაბარაკი. შეოაურის ავტორმა ხომ კარგად იცის, რომ მარშალს ირჩევს თბილისის საზოგადოება თავად-აზნაურობა...“

და არა საზოგადოება, არა ბატონო ონჟე?!

თქვენთან თახმობა ძნელია, მაგრამ ამას ისეთ ჭეშმარიტებას ამბობთ, რომ არ შეგვიძლიან არ დაგეთანხმოთ. მარშალს, მართალია, თავად აზნაურობა ირჩევს, მაგრამ განა თავად-აზნაურთა წრე კი საზოგადოება არ არის.

ან იქმნება ბატონი ონჟე იქამდის ,,აზნაურია'' რომ სიტყვა ,,საზოგადოება'' მისთვის შეურაცხყოფაა?

ეკონომიური ცხოვრება და კოოპერაცია

ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში.

სოფ. რუისში (გორის მაზრა) მცხოვრებმა, აბრაშუმის ჭიის თესლის ცნობილმა დამამზადებელმა დარია დეკანოზიშვილისამ შეიტანა საადგილ-მამულო კომისიაში თხოვნა, რომ დახმარება აღმოუჩინონ 1000 მ., ამ საჯარგებლო საქმის საადგურის მოსაწყობად. საადგილ-მამულო კომისია შეეკითხა ქართ. სამეურნეო ხაზოგადოებას, რა იცის დ. დეკანოზიშვილის საქმეზედ და რა ხარისხის თესლი მოჰყავს დეკანოზიშვილს თავის საადგურზედ.

5 ქრისტიმობისთვეს ქ. ს.-ს. საზოგადოებამ თავის სხდომაზედ განიხილა თხოვნა დ. დეკანოზიშვილისა და გადაწყვიტა შეატყობინოს კომისიას, რომ დ. დეკანოზიშვილის მომზადებული აბრეშუმის თესლი ცნობილია, როგორც ხუკეთესო ხარისხისა, მრავალი მეიდგეულეა ჰყავს და საზოგადოთ, დ. დეკანოზიშვილის მიერ მოწყობილი საქმე ფრიად საყურადღებო და საჯარგებლო არისო, ამიტომ სთხოვოს კომისიას დახმარება მიაწოდოს ქ-ნ დეკანოზიშვილს.

— —

იმავე სხდომაზედ ქ. სამეურნეო საზოგადოების აგრონომებმა კარბელაშვილმა, საყვარელიძემ და საბჭოს

წევრმა აგრონომმა ბ. ყაზახაშვილმა მოახსენეს საბჭოს თავისი შთაბეჭდილებანი ბატონ დ. ცაგარლის გუთნის სადემონსტრაციო მუშაობაზედ (გუთნის დემონსტრაცია მოხდა წინა კვირას ს. მცხეთაში).

ე. კარბელაშვილმა და ვ. საყვარელიძემ გამოთქვეს ის აზრი, რომ ბ. ცაგარლის მიერ გამოგონილ გუთანს ძალიან ბევრი ნაკლი აქვსო. მაგალითად, ეკიდება მარტო მსუბუქ და რბილ მიწას, ღრმად ვერ იდებს კვალს და სხვა. საერთოდ, ღირსი არ არისო რაიმე ყურადღებისაო, აგრონომმა ს. ყაზახაშვილმა, რომელიც წინად დაესწრო გუთნის მუშაობას, სთქვა, რომ გუთნის აგებულობა სრულიად უყარგისიაო, მოკლებულია ელემენტალურ საგუთნო ნაწილებისაო და საზოგადოთ, იგი უნდა ჩაითვალოს სხვა გუთნებთან შედარებით, მათ შორის ქართულ გუთნის წინაშეც, პროგრესად კი არა, რეგრესადაო. ქ. სამეურნეო საზოგადოების კრებამ დადგინა სთხოვოს ბ. ბ. აგრონომებს დ. წერეთელი მოახსენება წარუდგინოს საბჭოს.

სხვათა შორის, ბ. ცაგარელმა აქეს წინად სთხოვა სამეურნეო საზოგადოებას დახმარება 100 მ. მაგრამ საზოგადოებამ დაუნიშნა 30 მ. მაშინ ბ. ცაგარელმა უარი სთქვა 30 მ. და მიმართა თხოვნით სადეპუტატო საკრებულოს ოვემჯდომარეს ბ. ბ. ი. თუმანიშვილს. სადეპუტატო საკრებულომ მისცა მას 200 მ.

———

ეკასასკენელი განსახილველი საგანი წარსულ სხდომისა იყო „საზოგადოების“ აგრონომების მომავალ წლის გეგმა.

დიდი კამათი კიდევ გამოიწვია იმ საკითხმა თუ რა სიგრძის რიგში უნდა სწარმოებდეს საზოგადოების დღევანდელ აგრონომების მუშაობა. მთელ ქართლში (გორის, დუშეთის, ახალციხის, ახალქალაქის მაზრებში), თუ ჯერ-ჯერობით ბატარა, მაგრამ ტიპიურ რიგში. დიდი უმრავლესობა კრებისა მომხრედ გამოჩნდა ბატარა რიგისა და სასოწარკვეთილად მიდებული იყო გარდაწყვეტილება რომ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების აგრონომული დახმარება უნდა დ იწყოს პატარა რიგიონიდამ, მკვიდრად ჩაეყაროს საფუძველი ამ დახმარებისა და შემდეგ გაფართოვდეს იგი და მოედოს სხვა რიგიონებსაც.**

———

საზეიმო მოვლენა

რაგორც გავიგეთ, ერთ ქართველის საკრედიტო ამხანაგობაში, რომელსაც სოფელში ჩაუდგენ ადგილობრივი მემამულეები, ყოველად უკანონოდ და დასაძრახისი ჩგეულება შემოუღიათ. საკრედიტო ამხანაგობის წევრებად იწერებიან ოჯახობით და ყოველ ოჯახის წევრს გააქვს ფული. მაგალითად, გაჩეობის წევრმა ჩაწერა წევრად თავისი ცოლი, ძმა და სხვ. და სეფეველს გაატანინა ფული.

ამხანაგობა საქმის წარმოება დიდ ნაყოფს გარ მოუტანს ხალხს და ამ ვაჟბატონების მეოხებით შეიძლება დიდი ზიანი მოუვიდეს ჩვენს საკრედიტო კოოპერაციას. ჯერ-ჯერობით ამ საკრედიტო ამხანაგობის სახელს არ ვამბობთ. დაწვრილებით გავიგებთ და მაშინ ეცნობეთ ჩვენს საზოგადოებას ეგეულოერს.

———

თბილისში შემდგარა ქართველთა ამბავი გობა, რომელიც სახელმწიფო ბანკისაგან ვიდულობს, ოთოდ ადექსანდრე ჩოლოყაშვილის მ.ბულს, 600 დესეტინას. ამხანაგობაში 10 კაცია და აბარობენ ნაყიდ მიწას საერთოდ მეშეაგებას.

ამისთანა ეიდვა რომ ჩვეულებად შეიქმნა ჩვენმა ხალხმა დიდ სარგებლობას მოუტანს თავის თავსაც და საერთოდ მხარესაც მიწის დაცვაში, რომელიც უცხოელებისაგან მუდმივ იწიწვნება და იგლეჯება.

———

კოოპერაცია და ომი

საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირის გამგეობამ 7 გიორგობისთვეს (ახ. სტ.) თავის სხდომაზე მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ევროპის დასავლეთზე მძვინვარე ომისა და მისგან გამოწვეული გამწვავებულ მდგომარეობის გამო, საერთაშორისო კოოპერატიული კავშირის გამგეობა მოაგონებს ყველა ქვეყნის კოოპერატორებს, რომ ხალხთა შორის მშვიდობიანობა, არის ერთი ძირითადი პრინციპთაგანი კოოპერაციისა. ამიტომ გამგეობა, კოოპერატორების სახელით, იმედოვნებს, რომ ომი არ მოედება სხვა სახელმწიფოებს და მალე დამყარდება მშვიდობიანობა იქაც, სადაც ახლა მძვინვარებს. ყველა ქვეყნის კოოპერატორებმა უნდა მიიღონ

მათგან დაშოკიდებული ყოველი ზომა, რომ განმტკიცდეს და უზრუნველ იქმნეს ხალხთა შორის მშვიდობიანობა და თანხმობა“.

დასჯა ფულის გაფლანგვისათვის საკრედიტო ამხანაგობაში. პენზის გუბერნიის სოფ. კერის ამხანაგობის გამგეობას 384 მანეთი გაუფლანგავს. სასამართლომ მიუსაჯა $3^1/_2$ წლით გამასწორებელ რაზმში ყოფნა.

სახელმწიფო დახმარება. საკრედიტო კოოპერატივებს მიმდინარე წლის 1 გიორგობისთვემდე მიულიათ 150.765,500 მ. ამ სესხით უსარგებლიათ 7,565 საკრ. ამხ.; 2,921 შემნახველ-გამსესხ. ამხ.; 139 საეროობო კასას, 15,174 საგლეხო საზოგადო დაწესებულებას და წვრილი კრედიტის დაწესებულებათა 6 კავშირს.

ჟურ. „შრომის კავშირი“.

ს. შატილი (თიანეთის მაზრა). შატილი მთასშუა დგრე სოფელია ზირიქით ხევსურებსა და მითხოს (ერთი სამეფასადისო არის) ქისტებს შორის. აქედგან ქისტების ზირგელ სოფელ ჯარიგომდის სულ 6—7 ვერსი იქნება. შატილი აშენებული არის ერთ ვიწროდ წამოდგომულ კლდის ცხვირზედ, წინ ჩამოუდის მდინარე არღუნი და სამხრეთის მხრით შატილის წყალი. ორთავე ეს წყალი იქვე შატილის კედლის ძირში ერთდება და ამრიგად ეს სოფელი სამი მხრით წყლით არის შემორტყმული, უკანიდგან კიდევ უზარმაზარი კლდე აწვარებია. თუმცა შატილის მცხოვრებთა რიცხვი 24 კომლია, იმ ოთხ კომლს გარდა, რომელსაც ეხლახან მდინარის გამოდმა აუშენებია სახლები, მაგრამ სიერცით იმოდენა ადგილი უჭირავს, რაზედაც ქართლში ერთი ღარიბი კაცის კალო-სამეფელი გაიმართება. მკითხველს შეიძლება ეუცხოვოს ამისთანა ვატარა ადგილზედ 24 კომლის მოთავსება, მაგრამ ეს არც ისე საკვირველია, რადგანაც შატილი წარმოადგენს ციხეს, რომელშიაც მოთავსებული მთელი სოფელი ალაგ-ალაგ ციხე სამ-ოთხ სართულიანია. ზემოდ აღწერილ ბუნებრივ სიმაგრეზედ ხევსურს აუშენებია ხელოვნური სიმაგრე, რათა ამრიგად დაეცვა თავი ხმირად მომავალ დაუბრალებელი მტრისაგან. შუა კლდეზედ აშენებული, მრავალნაირად გამომცქერალი, შაკად შედგენილი ციხე-სიმაგრე ვირეთგნელი მოწამეა იმ მაგბნელი დროებისა, რომელშიაც იმეოფებოდა წინად ხევსური, რომელშიაც იმეოფება იგი ითქმის დღესაც: ამათ განუწყვეტელი ბრძოლა აქვთ თავიანთ მეზობლებ მოსისხლე მტერ ქისტებთან, რომლებიც მოიწევენ ხოლმე ხევსურებისკენ საქურდაოდ და საუბაროდ. ერთხელვე ჩაგარდნილ მტრობა-მოსისხლობას ვერა მოუღო ბოლო ვერც აქაურმა ადმინისტრაციამ, და ვერც ქისტებსა და ხევსურებს შორის ამოარჩეულმა საპატიო ბერებმა. სულ სამ-ოთხ კაცს შეხვდებით მთელ მითხოს ქისტებში, რომელთაც მოსისხლე არა ჰყავთ ხევსურებში და რომელთაც შეუძლიანთ თავისუფლად გამოიარონ ხევსურების მიდამოზედ, რადესაც თიანეთს უნდათ ჩამოსვლა. დანარჩენები კი უეჭველად მთელი ხროვა უნდა წამოვიდეს, თორემ; თუ ერთმა და ორმა გაბედა წამოსვლა, ხევსური არ მოუწოდებს და გამოსთოდვაზე *) ქისტს: ხევსურმა კარგად იცის რისთვისაც წამოვა ამთოგენ ქისტი.

დაუსრულებელ ბრძოლასა და მუდამ მტრის მოლოდინში აღზრდილი მატილიანი (ასე ეძახიან მატილის ხევსურებს), ბეკრად გახიარჩევა იმ ხევსურებისაგან, რომელნიც შედარებით მოშორებულნი არიან მტერზედ. ახირებული გამბედაობა, დიდი სიმამაცე და შეუპოვრობა შებლზედ აწერია აქაურ ხევსურს. რადესაც კი მქონია ხევსურებზედ ქისტებთან საუბარი, თითქმის მუდამ ერთი და იგივე შემოგვიგდია:—ბატონო, ძალიან ბრიყვი და ავი ხალხია ეს მატილის ხევსური, ერთი თხა რომ დაკარგონ მთელი სოფელი მოგვიხტება და აკლებას დაგვმუქრება.

ასე ახასიათებენ ქისტები აქაურ ხევსურს. დაუბრუნდეთ ისევ მატილს. ციხეში შესასვლელად ორი გვირაბი მდ. არღუნიდგან აქვს დატანებული და ერთი ვიწრო ჩამოსასვლელიც უკან ათვარებული კლდის მხრიდგან. რადესაც მიგ შედიხართ, მთელი ციხე, მუტადრე ძირის ოთახები ბნელია არის მოსილი. ასე რომ სანამ ნაცარეგ თვალს კარგად არ მოიშინაურებთ, ვერაკის გაარჩევთ. ზოგიერთ ოთახებ მარის ვიწრო კადასახტომია დატანებული. ამ კადასახტომებზედ ორი ვიწრო დატანი არის გადადებული მეზობელთან მისასვლელად.

ზევიდგან ქვევით სართულში ჩასასვლელთაც სოფე-

---

*) მოჰკლავს.

ხურეს დაწდეულდი ლატანი არის ჩაუდებული. მართალია ჩვენური ჯამბაზური სისწრაფით ადის და ჩადის ამ ეშმაკის კიბეზედ, მაგრამ ხმა კაცისაგის კი სწორედ განსცდელია. აი ამ ციხეში არის მოთავსებული 24 კომლი ჩვენური თავის ცოდშვილით და საქონლით. ციხის დათვალიერების დროს ჩემმა მეგობარმა მაჩვენა ის ოთახი, რომელშიაც სცხოვრობდა მთაში გამოქცეული ალექსანდრე ბატონიშვილი და რომელიც ეხლა დაუქმებულია. ციხეში მცხოვრებნი უკვრა ერთ დიდ ოჯახს ემსგავსებიან, ვიდრე მთელ სოფელს. ხევსურები შედარებით ძალიან ბინძურად სცხოვრობენ, მაგრამ მატიდიონების უსუფთაობა აუწერელია, რაკი ამ შედარებით ბატონ ციხეში ხალხსა და საქონელს ერთად მოუერია თავი. ერთი დაუჯერებელი მდგომარეობა კიდევ იქცევს თქვენ ყურადღებას მატიდში: მთელ სოფელში ლამპა არავის მოეხმარება. ანთებენ კვარს, რომელიც ძალზედ კომლავს და მწვარტლითა და ბურით უგსებს ცხვირ-პირს, ისეც ტურტლიან ჩვენურს. აქაურ სიღარიბესა და გაჭირვებას ხომ ნულარ იტყვით: ადგილი საშინელი მწირი, სახნავ-სათესი მამულის სიგანწრფეე. დასთესავს რასმე ხევსური და ზოგჯერ ამის მოშკასაც ვედარ ასწრებს, რადგანაც სიცივე უძრავს. ასე რომ მოუტებულად ხევსური ნასყიდი პურით კამოდის. გასაყიდი კი აქაურ ხევსურს ერბოს მეტი არაფერი მოეპოვება. მართალია, ცოტაოდენ საქონელს მოინარჩუნებს, მაგრამ მეიდგელი ან იმვიათად მოდის ან თუ მოვიდა, ისიც ნადის ფასად ნდომულობს ეგელაფერს.

ასეთია აუტანელი მდგომარეობა ადგილისა და ამის მეზობელ სოფლებისა. ზნეობრივ და ფიზიკურ სიბნელეში გასვეულ აქაურ ხევსურს მოამავლიც კი ასიბნელეს უქადის: არხოტის რკინის გზა ძალიან შორს უკლია, თუ კი გაიარა, და ამნაირად რჩება ისევ თავის ჯურღმულში ხევსური, რომელშიაც საკუთრებით ეფო შეწყნარებული. სკოლებზედ ხომ წარმოდგენაც არა აქვთ ხევსურებს.

რაგორც ხმები დადის, მთავრობას ეხლა განუზრახავს გახსნას ხევსურებში რამდენიმე სასწავლებელი და ვნახოთ რა იქნება.

დეგოთელი.

განცხადებანი

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატებით

მიღება ხელის მოწერა **1912 წლისათვის.**

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და ამ სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ლირს 8 მან. 50 კაპ.

ენკენისთვიდან წლის დამლევამდე ლირს 3 მ.

თვეში ლირს 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ხედმეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადაზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისთვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს

პირველ ივლისამდე

„კოოპერაცია"

სახალხო საკოოპერაციო და საზოგადოებრივ-ეკონომიური ჟურნალი.

ჟურნალი **„კოოპერაცია"** დამატებით ღირს წლიურად 3 მან. ნახევარი წლით 1 მ. 75 კ. **„შრომის კავშირი"**—წლიურად 2 მ. 50 კ. ნახევარ წლით 1 მ. 50 კ. **რედაქცია მოუწოდებს მომხმარებელ, საკრედიტო და სხვა კოოპერატივებს** დაიკვეთონ **„შრომის კავშირი"** ხალხში გასავრცელებლად. ფულის გამოგზავნა შეიძლება მერე. ადრესი: г. Кутаисъ редакція журналовъ „Кооперація, и „Шромисъ Кавшири".

მოითხოვეთ ყველგან

კოოპერატიული ღვინო

საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდია 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ახალციხეში, ტაშკენტში, ბათომში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.

სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოღება

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ $688\frac{1}{2}$ დესეტინა ვენახი, საიდამაც უზიდავენ საზოგადოებას **ნამდვილ კახურ ღვინოს!**

ძალა ერთობაშია

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლოა „საზოგადოების“ გაფართოვება — გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების საქმეები მოწესრიგებული და მკვიდრად დაყენებულია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

ელექტრომბეჭდავი სტამბა ს. მ. დოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 5.

ქ. გორში გამოდის ყოველდღიური სალიტერატუ-
რო, სავაჭრო-სამეურნო სასოფლო გაზეთი

— „ქ ა რ თ ლ ი“ —

ყოველ კვირეული სურათებიანი დამატებით

დ ა მ ა ტ ე ბ ი თ

წლიურად ღირება — — — — —	5 მ.
ნახევარი წლით — — — — —	2 მ. 60 კ.
სამი თვით — — — — — —	1 მ. 50 კ.
ერთი თვით — — — — — — —	45 კ.

უ დ ა მ ა ტ ე ბ ო დ

წლიურად ღირება — — — — —	4 მან.
ნახევარი წლით — — — — —	2 მ. 30 კ.
სამი თვით — — — — — —	1 მ. 20 კ.
ერთი თვით — — — — — — —	55 კ.

ცალკე ნომერი დამატებით ყველგან 5 კაპ. უდამატებოდ 3 კაპ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ს ფ ა ს ი: პირველ გვერდზე პეტიტი სტრიქონი ორი შაური, უკანასკნელზე—ერთი შაური. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა ორი მანეთი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ა) გორში სტამბის მოუწყობლობის გამო პირველ ხანებში გაზეთი „ქართლი“ გამოვა კვირაში სამჯერ პატარა ზომისა და უ დ ა მ ა ტ ე ბ ო დ. შემოდგომიდამ კი გაზეთი უფრო სრული, მოზრდილი და ყოველდღიური იქნება.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ეკალაძე-ცინცაძე.**

მისამართი: **ქ. გორი, რედაქცია „ქართლი“ ი. ცინცაძეს.** ფული და მასალები მხოლოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატუ-
რო ჟურნალი

„განათლება“

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი **„განათლება“** გამოდის ყოველ თვის შუა რიცხვებში, გარდა ზაფხულის ორი თვისა. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენებურს სკოლებში და ოჯახებში.

ჟურნალი გამოდის დასურათებული.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ხელის მომწერთათვის წლიურად ღირს **სამი მანეთი** და **ათი შაური** (3 მან. 50 კ.), ნახევარი წლით **ორი მანეთი** (2 მან.); საზღვარ გარედ ჟურნალი ღირება 5 მანეთი.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

ხელის მოწერა მიიღება **თბილისში** „ქ.-შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და „ნაკადულის“ რედაქციაში. **ქუთაისში** წიგნებისა და გაზეთების კანტორა „იმერეთი“, ისიდორე კვიცარიძესთან, **ბათომში** წიგნის მაღაზია „განთიადი“. ამ ორ ადგილს იყიდება ცალკე ნომრებიც.

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი ნისიად არავის გაეგზავნება.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія **Л. Г. Боцвадзе.**

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.

ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადული“

წელიწადი მეცხრე

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივ პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ორი გამოცემა:

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი
მოზრდილთათვის . . . 12 წიგნი

ღირება წლიურად 5 მან., ნახევარ წლით 3 მან., ცალ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მან., საზღვარ გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ საჩუქარს.

ხელის მოწერა მიიღება **თბილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტი, 8 და წ.-კ. საზ. მაღაზიაში, **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, თ. კანდელაკთან და მარიამ ყაუხჩიშვილთან, **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში**—ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში**—ბ. ამბროქიძესთან, **ერევანში**—ვ. ოდიშერიასთან, **ყარსში**—ფერშალ ვანო საათაშვილთან და **როსტოვში**—კლიმიაშვილთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თავ. პავლე ივანეს ძე თუმანიშვილი.